საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №155/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 9 სექტემბრის №155 საჩივრის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მოსამართლე ბრალდებულს მოიხსენიებს ნარკორეალიზატორად, აქვს წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი ბრალდებულის მიმართ და არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას. ეჭქვეშ აყენებს საჩივრის ავტორის პროფესიონალიზმს, სხდომაზე აძლევს შენიშვნებს და გამოირჩევა მის მიმართ არაეთიკური გამონათქვამებით.

1.2. ამასთან, საჩივრის ავტორის აზრით, მოსამართლე არის მიკერძოებული, ბრალმდებელთან შეთანხმებით ამცირებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, არღვევს შეჯიბრებითობის პრინციპს, არ ცდილობს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და არ აკმაყოფილებს დაცვის მხარის შუამდგომლობებს.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- სს საქმე -- -- მიმართ არსებითად განსახილველად დაეწერა 2019 წლის 3 აპრილს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 220-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად 2019 წლის 2 აპრილის წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის სხდომის თარიღად განისაზღვრა 2019 წლის 16 აპრილი, 12:00 საათი. 2019 წლის 16 აპრილის არსებითი განხილვის სხდომა გადაიდო ბრალდებულის გამოუცხადებლობის გამო.

2019 წლის 22 მაისის არსებითი განხილვის სხდომაზე მოისმინეს ბრალდებისა და დაცვის მხარის შესავალი სიტყვები, დაიკითხა ბრალდების მოწმე -- -- და -- --, მოსამართლემ განიხილა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი.

2019 წლის 19 ივნისის არსებითი განხილვის სხდომაზე დაიკითხა ბრალდების მოწმე -- --.

2019 წლის 25 ივნისის არსებითი განხილვის სხდომაზე დაიკითხა ბრალდების მოწმე -- --.

2019 წლის 2 ივლისის არსებითი განხილვის სხდომაზე დაიკითხა ბრალდების მოწმე -- --, მოსამართლემ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა ექსპერტ -- -- დაკითხვის თაობაზე, არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა ბიოლოგიურ-გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნის მტკიცებულებად ცნობასთან დაკავშირებით და აღნიშნული ცნობად დაურთო საქმეს, როგორც ინფორმაციული ხასიათის დოკუმენტი.

2019 წლის 5 ივლისის არსებითი განხილვის სხდომაზე დაიკითხა ბრალდების მოწმე -- --.

2019 წლის 18 ივლისს არსებითი განხილვის სხდომაზე ბრალდების მხარემ მოხსნა დასაკითხ პირთა სიაში დარჩენილი მოწმეები, ამავე სხდომაზე დაიკითხა დაცვის მხარის მოწმე -- -- მოსამართლემ განიხილა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი.

2019 წლის 15 აგვისტოს არსებითი განხილვის სხდომაზე დაიკითხა ბრალდებული, დაცვის მხარემ იშუამდგომლა ტაქსის მძღოლის -- -- დაკითხვის თაობაზე, რომელიც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.

2019 წლის 4 სექტემბერის არსებითი განხილვის სხდომაზე პროკურორმა წარმოადგინა დასკვნითი სიტყვა. მოსამართლემ განიხილა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 19 ნოემბრის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 9 სექტემბრის №155 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით (სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა) განსაზღვრული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის შინაარსიდან და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს გვაქვს თუ არა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი - მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა.

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სამოსამართლო ქცევის ნორმების დაცვა ერთ-ერთ

უმნიშველოვანეს საკითხს წარმოადგენს სასამართლოსადმი ნდობის და სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის განმტკიცების თვალსაზრისით.

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების 28-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას.

ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი, სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მე-6 ღირებულების „6.6“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე იცავს წესრიგსა და ეტიკეტს ყველა სასამართლო განხილვის მსვლელობისას და მოქმედებს მოთმინებით, ღირსეულად და თავაზიანად სასამართლო სხდომის მხარეთა, ნაფიც მსაჯულთა, მოწმეთა, ადვოკატებისა და სხვა პირების მიმართ, რომლებსაც მოსამართლე მიმართავს თავისი ოფიციალური სტატუსიდან გამომდინარე. მოსამართლემ უნდა მოსთხოვოს ასეთივე ქცევა მხარეთა კანონიერ წარმომადგენლებს, სასამართლოს თანამშრომლებს და სხვა მოსამართლის გავლენის, მის დაქვემდებარებაში თუ მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირებს.

ბანგალორის პრინციპების თანახმად, სასამართლო სხდომაზე და მის გარეთ მოსამართლე ყოველთვის თავაზიანი უნდა იყოს და პატივს სცემდეს გარშემო მყოფთა ღირსებას. მოსამართლე ასეთსავე დამოკიდებულებას უნდა მოითხოვდეს სასამართლო განხილვის ყველა მონაწილისაგან, როგორც სასამართლოს თანამშრომლების, ისე სხვა, მის დაქვემდებარებაში თუ კონტროლის ქვეშ მყოფი პირებისაგან. მოსამართლე პირად ანტიპათიაზე მაღლა უნდა იდგეს და არ უნდა გამოყოს სასამართლოში გამომსვლელი ადვოკატებიდან არცერთი. ადვოკატის მისამართით მოსამართლის უსაფუძვლო შენიშვნები, სასამართლო სხდომის მხარეთა ან მოწმეთა მიმართ შეურაცხმყოფელი კომენტარები, გესლიანი ხუმრობა, სარკაზმი და თავშეუკავებელი, ტენდენციური ქცევა არღვევს სასამართლო დარბაზში სასამართლოსათვის შესაფერის წესრიგსა და ეტიკეტს. თუ მოსამართლეს ჩარევა სურს, მისი გამონათქვამის ტონი და მანერა ჩრდილს არ უნდა აყენებდეს მის მიუკერძოებლობას.

ბრალდებულ -- -- სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სასამართლო სხდომის ოქმების აუდიო ჩანაწერების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლის მხრიდან ადგილი არ ჰქონია ეთიკის ნორმების დარღვევას. ბრალდებული არ მოუხსენებია ნარკორეალიზატორად, მოსამართლე თავაზიანობით გამოირჩეოდა პროცესის მონაწილეთა მიმართ.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის პრეტენზიებს, რომლებიც აღწერილია წინამდება განკარგულების 1.2. პუნქტში, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 62–ე მუხლის მე–5 ნაწილის შესაბამისად, „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე–9 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება, ამავე კოდექსის მე–14 მუხლის

შესაბამისად, მხარეს უფლება აქვს სასამართლოში მოითხოვოს მოწმის უშუალოდ დაკითხვა და წარადგინოს საკუთარი მტკიცებულება, აგრეთვე, ამავე კოდექსის 25–ე მუხლის მე–2 ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. საქართველოს სსსკ–ის ზემოხსენებული რეგულაციების გათვალისწინებით, მხარეს უფლება აქვს სასამართლოში უარი თქვას თავისი მტკიცებულების გამოკვლევაზე. მოცემულ შემთხვევაში, თუ დაცვის მხარეს მიაჩნია, რომ მოწმე (მისი ჩვენება) მნიშვნელოვანია თავისი პოზიციის დასასაბუთებლად, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, დაცვის მხარეს შეუძლია, კანონით დადგენილი წესით, შეიყვანოს აღნიშნული პიროვნება თავის მოწმეთა სიაში და მოითხოვოს მისი დაკითხვა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილი იძლევა შესაძლებლობას, რომ საქმის არსებითი განხილვის დროს მხარემ წარადგინოს დამატებითი მტკიცებულება. მხარის შუამდგომლობით სასამართლო იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს და არკვევს საქმის არსებით განხილვამდე მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზს, რის საფუძველზეც იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე მტკიცებულების დაშვება-არდაშვების თაობაზე. როგორც დაყენებული შუამდგომლობა ასევე უარი ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უნდა იყოს დასაბუთებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულებათა შეფასება ხდება სისხლის სამართლის კანონისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული შეეხება როგორც ექსპერტის დასკვნას, ისე მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის და მათი შეფასება ხდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილი წესით.

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსამართლე -- -- ქმედება არ შეიცავს დისციპლინური გადაცომის ჩადენის ნიშნებს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებებისა შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად არ მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 9 წევრმა ხმა მისცა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას. შესაბამისად, ვინაიდან მოსამართლე -- -- მიმართ სრული შემადგენლობის უმრავლესობით არ იქნა მიღებულა გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე, მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №155/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი